თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 19

07 დეკემბერი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 20 დეპუტატი და 2020 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული 1 დეპუტატი.:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ლევან მრელაშვილი, გიორგი მეტრეველი, უჩა ჭოტიაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **დავით ბეგიაშვილი;**
მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე;**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის 42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის 42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

ნ.ვაყელიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში აღნიშნულია მხოლოდ სოციალური პროგრამების დაფინანსების გაზრდის საკითხი, მაგრამ აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა ასევე გაიზარდოს ბინათმშენებლობის ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი, რათა დროულად მოხდეს საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. შესაბამისად თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით საკითხს კენჭი ეყაროს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს: **ა.შათირიშვილმა, დ.ღაღანიძემ,**
ლ.კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ გასულ წელსაც დადგა საჭიროება სოციალურ პროგრამებში თანხის დამატების, მიმდინარე წელსაც საჭიროების გამო ვამატებთ, ამიტომ წლის დასაწყისში უნდა განვსაზღვროთ თანხები იმ მოცულობით რაც უზრუნველყოფს ბენეფიციართა სრულად დაკმაყოფილებას.

საკრებულოს წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომ ნ.ვაყელიშვილის მიერ დაყენებული წინადადება პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ მისაღებია.

გადაწყვიტეს: **მომხსენებლის მიერ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით პროექტის დამტკიცებას** (მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03 (სამი) წევრმა **ა.კუპატაძემ, ზ.გრიშიკაშვილმა, ა.ძულიაშვილმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილი თხლაშიძე